ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ქართული ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი: პრაგმატული კომპეტენციის საკითხი

GEORGIAN PHATIC COMMUNICATIVE ACTS AND SPEECH ETIQUETTE GENERATED BY ARTIFICIAL INTELLIGENCE: THE QUESTION OF PRAGMATIC COMPETENCE

ეკატერინე გოგალაძე
ფილოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ekaterine Gogaladze
PHD in Philology
TSU, Faculty of Humanities, Visiting Lecturer
Email: ekaterine.gogaladze@tsu.ge
ORCID: 0009-0009-6408-426X

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის დიდი ენობრივი მოდელების (ChatGPT, Gemini, Claude) მიერ გენერირებულ ქართულ ფატიკურ კომუნიკაციასა და სამეტყველო ეტიკეტს პრაგმატული კომპეტენციის ჭრილში. კვლევის მიზანია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოებული ქართული ტექსტები რეალურ ქართულ სოციოკულტურულ და პრაგმატულ ნორმებს. ექსპერიმენტული მეთოდოლოგიით შეფასდა ექვსი ყოველდღიური კომუნიკაციური სიტუაცია (მისალმება, მცირე საუბარი/small talk, თხოვნა, მადლიერების გამოხატვა, ბოდიშის მოხდა, დამშვიდობება). ანალიზმა აჩვენა, რომ ენობრივი მოდელები ფლობენ მდიდარ ენობრივ რეპერტუარს, თუმცა ავლენენ სერიოზულ პრაგმატულ გადახრებს: ზედმეტ ფორმალიზაციას (over-formalization), „შენ/თქვენ“ ფორმების არათანმიმდევრულ მონაცვლეობას (pragmatic inconsistency), თავაზიანობის მარკერების ჭარბ დაგროვებას (politeness stacking) და კულტურულად მარკირებული ფორმულების ჭარბწარმოებას. კვლევის ძირითადი დასკვნით, AI-ის მიერ გენერირებული ქართული ენა შეიძლება იყოს გრამატიკულად და სემანტიკურად გამართული, მაგრამ პრაგმატულად არასტაბილური. ეს მიგნებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის, როგორც მეორე ენის (L2), სწავლების კონტექსტში, სადაც ენობრივი მოდელების პრაგმატულად ატიპურმა ნიმუშებმა შესაძლოა არასწორი სოციოლინგვისტური ჩვევების ჩამოყალიბება გამოიწვიოს.

საკვანძო სიტყვები: ფატიკური კომუნიკაცია, სამეტყველო ეტიკეტი, პრაგმატული კომპეტენცია, დიდი ენობრივი მოდელები (LLM), ქართული ენა.

Abstract

This study investigates Georgian phatic communication and speech etiquette generated by large language models (ChatGPT, Gemini, Claude) from the perspective of pragmatic competence. The study aims to evaluate the extent to which AI-generated Georgian texts align with real Georgian socio-cultural and pragmatic norms. Utilizing an experimental methodology, six daily communicative scenarios were tested: greeting, small talk, making a request, expressing gratitude, apologizing, and leave-taking. The analysis reveals that while LLMs possess a rich formulaic repertoire, they exhibit significant pragmatic instabilities, including over-formalization, inconsistent use of address forms (the T/V distinction), politeness stacking, and the overproduction of culture-specific formulas. The core conclusion indicates that AI-generated Georgian may be grammatically and semantically well-formed while remaining pragmatically unstable. These findings have crucial pedagogical implications for teaching Georgian as a second language (L2), where pragmatically inappropriate AI models could potentially instill inaccurate sociolinguistic patterns in learners.

Keywords: Phatic communication, Speech etiquette, Pragmatic competence, Large language models (LLMs), Georgian language.

შესავალი

ბოლო წლებში დიდი ენობრივი მოდელები (LLM), როგორიცაა ChatGPT, Gemini და Claude, სულ უფრო აქტიურად გამოიყენება არა მხოლოდ საინფორმაციო მიებისთვის, არამედ უცხო ენის შესასწავლად და ენობრივი პრაქტიკისთვის. როდესაც ენის შემსწავლელი ხელოვნურ ინტელექტს სთხოვს ქართულად დიალოგის შექმნას, ის იღებს არა მხოლოდ გრამატიკულ სტრუქტურებს, არამედ კონკრეტული სოციალური ურთიერთობისთვის განკუთვნილ კომუნიკაციურ მოდელს. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალური ხდება საკითხი: რამდენად შეესაბამება ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ქართული ტექსტი ან დიალოგი რეალურ ქართულ სამეტყველო ეტიკეტსა და პრაგმატულ ნორმებს?

კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ კონცეფციას:

1. **ფატიკური კომუნიკაცია:** ბრონისლავ მალინოვსკის (*Bronisław Malinowski*) მიერ შემოღებული ცნება *phatic communion* (Malinowski, 1923), აგრეთვე რომან იაკობსონის (*Roman Jakobson*) მიერ გამოყოფილი ენის ფატიკური ფუნქცია, გულისხმობს ისეთ კომუნიკაციას, რომლის ძირითადი დანიშნულება არა ინფორმაციის გადაცემა, არამედ საკომუნიკაციო არხის გახსნა, შენარჩუნება, სოციალური კავშირის დამყარება და დახურვაა (Jakobson, 1960) .
2. **თავაზიანობის თეორია:** ბრაუნისა და ლევინსონის (*Brown & Levinson*) თავაზიანობის თეორია (*politeness theory*), სადაც კომუნიკაციური არჩევანი განპირობებულია სოციალური დისტანციით, ძალაუფლების ბალანსითა და კომუნიკაციური აქტის იმპოზიციის ხარისხით (Brown, P., & Levinson, S. C., 1987)

3. **მეორე ენის პრაგმატული კომპეტენცია:** უცხო ენის შემსწავლელის მიერ ეტიკეტური ფორმულების (მაგ., „მადლობა“, „ბოდიში“, „გამარჯობა“) ცოდნა არ ნიშნავს მათი გამოყენების პრაგმატულ მართებულობას. პრაგმატული კომპეტენცია მოითხოვს ცოდნას თუ როდის, ვის მიმართ, რა რეგისტრში, რამდენად ირიბად და რა კომბინაციით უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ფორმულა.

წინამდებარე კვლევის მთავარი ჰიპოთეზაა, რომ ფორმულის ცოდნა არ არის იგივე, რაც ფორმულის პრაგმატულად შესაბამისი გამოყენება. კვლევა მიზნად ისახავს AI-ის მიერ გენერირებული ქართული ენის პრაგმატული ასპექტების შესწავლას და იმ შესაძლო პედაგოგიური რისკების გამოვლენას, რომლებიც ენის შემსწავლელთათვის ამ მოდელების ნიმუშად გამოყენებას ახლავს თან.

კვლევა განხორციელდა ექსპერიმენტული მეთოდოლოგიით, სადაც თანაბარ პირობებში შედარდა სამი წამყვანი დიდი ენობრივი მოდელი: **ChatGPT**, **Gemini** და **Claude**. მოდელებს მიეცათ სტანდარტიზებული ინსტრუქციები (prompts) ექვსი ყოველდღიური კომუნიკაციური სიტუაციისთვის:

1. **მისალმება (Greeting):** ორი ზრდასრული პირის პირველი შეხვედრა აკადემიურ სივრცეში (უნივერსიტეტში).
2. **ფატიკური კომუნიკაცია (Small talk):** ნაცნობების შემთხვევითი შეხვედრა და მოკლე საუბარი.
3. **დახმარების თხოვნა (Request):** ახალგაზრდა ადამიანი უფროსი ასაკის უცნობს სთხოვს დახმარებას, გზის პოვნას
4. **მადლიერების გამოხატვა (Gratitude):** გაწეული დახმარებისთვის მადლობის გადახდა.
5. **ბოდიშის მოხდა (Apology):** უნებლიე შეჯახების გამო ბოდიშის მოხდა.
6. **დამშვიდობება (Leave-taking):** დიალოგის/საუბრის დასრულება და დამშვიდობება.

თითოეული სიტუაციისთვის ინსტრუქცია დეტალურად აღწერდა მონაწილეთა ასაკს, სოციალურ დისტანციას, ურთიერთობის ტიპსა და კონტექსტს.

მიღებული მონაცემების პრაგმატული ანალიზისთვის შემუშავდა სპეციალური კოდირების სისტემა:

PF — phatic formula - ფატიკური ფორმულები;
AF — address form, ანუ შენ/თქვენ;
REG — register- რეგისტრი;
POL — politeness strategy- თავაზიანობის სტრატეგიები;
CSF — culture-specific formula - კულტურულ-სპეციფიკური ფრაზები;
PI — pragmatic inconsistency - პრაგმატული შეუსაბამობა;
PS — politeness stacking - თავაზიანობის დაგროვება;
PO — formula overproduction- ჭარბი ფორმულები;
CAL? — შესაძლო პრაგმატული კალკირება;
LEV — შესაძლო pragmatic leveling - პრაგმატული გათანაბრება.

ანალიზისას „შეცდომა/გადახრა“ განისაზღვრა არა როგორც გრამატიკული ცდომილება, არამედ როგორც სოციოკულტურულ კონტექსტთან ფორმის შეუსაბამობა.

შექმნილი ემპირიული მასალის ანალიზისას გამოვლინდა საინტერესო შედეგები. განვიხილავთ სათითაოდ ყველა სიტუაციას:

მისალმება:

უნივერსიტეტის სივრცეში პირველი შეხვედრისას ChatGPT-ის პასუხში დაფიქსირდა: *„ქალბატონო ნინო“*, *„ბატონი გიორგი“*, *„სასიამოვნოა თქვენი გაცნობა“*, *„თუ წინაალმდეგი არ ხართ...“* Gemini-ის პასუხიც მკვეთრად ფორმალური იყო (*„უკაცრავად“*, *„გმადლობთ“*, *„ბრძანდებით“*), თუმცა შედარებით სწრაფად გადადიოდა საქმეზე. Claude-მა გამოიყენა ფორმები: *„გმადლობთ“*, *„შემოდით“*, *„დაბრძანდით“*, *„გამარჯობათ“*. სამივე მოდელში გამოიკვეთა ზედმეტი ფორმალიზაციის (*over-formalization*) ტენდენცია.

მოკლე საუბარი/ბაასი:

ChatGPT-მა აჩვენა ფატიკური ფორმულების მდიდარი რეპერტუარი (*„როგორ ხარ?“*, *„რამდენი ხანია არ მინახიხარ“*, *„ოჯახი როგორ გყავს?“*, *„კარგი იყო შენი ნახვა“*). თუმცა Gemini-სა და Claude-ის პასუხებში გამოვლინდა მკაფიო პრაგმატული არათანმიმდევრულობა (*pragmatic inconsistency*): დიალოგი იწყებოდა შინაურული ფორმებით (*„როგორ ხარ?“*, *„შენ როგორ ხარ?“*), მაგრამ იქვე ენაცვლებოდა ოფიციალური/თავაზიანი ფორმები (*„თქვენთან როგორ არიან?“*, *„გმადლობთ“*).

თხოვნა: უფროსი ასაკის პირისთვის გზის გასარკვევად შეკითხვისას Gemini-მ გამოიყენა ირიბი თავაზიანი სტრატეგია (*„უკაცრავად“*, *„ხომ ვერ მეტყვით...?“*, *„დიდი მადლობა“*, *„გაიხარეთ“*, *„წარმატებები“*). Claude-ის პასუხში დაფიქსირდა თავაზიანობის მარკერების ჭარბი დაგროვება (*politeness stacking*): *„შეიძლება ერთი წუთით შეგაწუხოთ?“*, *„ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ...“*, *„ძალიან გმადლობთ“*, *„კარგად ბრძანდებოდეთ“*, *„წარმატებებს გისურვებთ“*.

მადლიერების გამოხატვა:

Gemini-მ ამოიღო მკვეთრად კულტურულად მარკირებული ეთნო-რიტუალური ფორმულები: *„ხელი გაგიმარჯოს“*, *„ძმაო“*, *„გენაცვალე“*, *„ხელი გემარჯოს“*, *„წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა“*. Claude-მაც გამოიყენა მსგავსი ფორმები (*„ღმერთმა გაგიმრავლოს“*, *„ხელი მაგარი გქონია“*). ChatGPT-ის პასუხი უფრო ნეიტრალური აღმოჩნდა (*„მართლა დიდი მადლობა“*, *„არაფრის“*, *„ნუ იწუხებ თავს, კაცო“*).

ბოდიშის მოხდა:

სამივე მოდელმა აჩვენა ბოდიშის მოხდის სტაბილური სტრუქტურა. Gemini: *„ვაიმე, უკაცრავად!“*, *„შემთხვევით დაგეჯახეთ“*, *„არაუშავს, არაფერია“*. ChatGPT: *„უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ“*, *„მართლა ბოდიში“*, *„კიდევ ერთხელ ბოდიში“*. Claude-მა კვლავ ფორმალური რეგისტრი არჩია (*„ბოდიშს გიხდით“*, *„ნუ ინაღვლებთ“*, *„კარგად ბრძანდებოდეთ“*). ChatGPT-ის ფრაზაში *„მადლობა გაგებისთვის“* გამოიკვეთა ინგლისური *„thanks for understanding“*-ის სავარაუდო პრაგმატული კალკირება.

დამშვიდობება:

საუბრის დასრულება სამივე მოდელმა წარმატებით განახორციელა (Gemini: *„სასიამოვნო საღამოს გისურვებ“*, *„ხვალამდე, ნახვამდის“*; ChatGPT: *„ხვალამდე“*, *„საღამო მშვიდობისა“*,

„აბა, დროებით“). თუმცა Claude-თან კვლავ დაფიქსირდა რეგისტრების აღრევა (*„გმადლობთ“* გვერდიგვერდ „შენ“ ფორმებთან).

მოპოვებული მონაცემების ანალიზი ოთხ ძირითად პრაგმატულ ტენდენციას გამოკვეთს:

1. **ფორმულარული კომპეტენციის არსებობა:** სამივე მოდელი ფლობს ქართული ეტიკეტური და ფატიკური ენობრივი კონსტრუქციების მდიდარ ბაზას. შესაბამისად, პრობლემა ენობრივი ერთეულების არცოდნაში კი არ მდგომარეობს, არამედ მათ კონტექსტურ განაწილებაში.
2. **პრაგმატული არათანმიმდევრულობა (Pragmatic Inconsistency):** ფორმულის ცოდნა ავტომატურად არ უზრუნველყოფს სოციოლინგვისტურ ადეკვატურობას. Gemini-სა და Claude-ში გამოვლენილი „შენ/თქვენ“ (T/V) ფორმების აღრევა ერთსა და იმავე დიალოგში მოწმობს, რომ მოდელებს უჭირთ სოციალური დისტანციისა და რეგისტრის სტაბილური შენარჩუნება.
3. **ზედმეტი ფორმალიზაცია და თავაზიანობის დაგროვება (Politeness Stacking):** განსაკუთრებით Claude-სა და ChatGPT-ში შეინიშნება თავაზიანობის მარკერების გადაჭარბებული გამოყენება. ბუნებრივ მეტყველებაში თავაზიანობის ნორმების ასეთმა ჰიპერკორექციამ შესაძლოა კომუნიკაციური დისტანციის ხელოვნური გაზრდა ან ირონიული ეფექტი გამოიწვიოს.
4. **კულტურული ჭარბწარმოება (Culture-Specific Overproduction):** Gemini-ისა და Claude-ის მიერ მადლიერების გამოხატვისას ისეთი ეთნოგრაფიული ფორმულების გამოყენება, როგორებიცაა *„წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა“* ან *„ხელი გაგიმარჯოს“*, მიუთითებს მოდელის მიერ კულტურული მარკერების მექანიკურ, კონტექსტისგან აბსტრაგირებულ ჭარბწარმოებაზე.

ეს მიგნებები განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის მეორე ენად (L2) სწავლების პროცესში. თუ L2 შემსწავლელი AI-ის მიერ გენერირებულ დიალოგს აღიქვამს როგორც ავთენტურ სოციალურ ნიმუშს, შესაძლოა ჩამოუყალიბდეს მცდარი პრაგმატული ჩვევები:

- მიიჩნიოს, რომ თავაზიანი საუბარი აუცილებლად ჰიპერ-ფორმალური უნდა იყოს;
- ჩათვალოს, რომ „შენ“ და „თქვენ“ ფორმების მონაცვლეობა ერთ დიალოგში ნორმაა;
- გამოიყენოს არასათანადო ეთნო-კულტურული ლოცვა-კურთხევის ფორმულები ყოველდღიურ სიტუაციებში.

ამრიგად, ენის სწავლებისას AI ინსტრუმენტების ინტეგრირებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ გრამატიკულ სიწორესა (*grammatical correctness*) და სემანტიკურ გამართულობაზე, არამედ პრაგმატულ შესაბამისობაზე (*pragmatic appropriateness*).

კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ძირითადი თეზისი:

ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ქართული ენა შეიძლება იყოს გრამატიკულად და სემანტიკურად გამართული, მაგრამ ამავე დროს პრაგმატულად არასტაბილური.

საზღვარი „ფორმულის ცოდნასა“ და „ფორმულის მართებულად გამოყენების ცოდნას“ შორის წარმოადგენს ცენტრალურ გამოწვევას ქართული ენის კომპიუტერული დამუშავებისა (NLP) და L2 პედაგოგიკისთვის.

კვლევის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია ორი ძირითადი მიმართულება:

1. საკონტროლო დავალებების დანერგვა, რათა მკაფიოდ გაიმიჯნოს ზოგადი ქართული ტექსტის გენერირების უნარი სპეციფიკური ეტიკეტური დავალებების შესრულებისგან;
2. AI-ის მიერ გენერირებული ფორმების შედარება ბუნებრივი ქართული მეტყველების კორპუსებთან და მშობლიურ მოლაპარაკეთა (*native speakers*) შეფასებებთან.

გთავაზობთ კვლევის შედეგებს ცხრილის სახით, სადაც მითითებულია თითოეული ეტიკეტური სიტუაციისათვის დაწერილი ინსტრუქცია, პრომტი. მასალა დლაგებულია პარამეტრების მიხედვით. ენობრიცი ერთეულები და ეტიკეტური ფრაზები შეგნებულად არ არის გასწორებული, მოცემულია იმ სახით, როგორც ეს AI მოდელებმა შექმნეს და მომაწოდეს.

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	„გამარჯობათ"	„გამარჯობა, უკაცრავად"	„გამარჯობა" + „ქალბატონო ნინო, ხომ არ ვცდები?"
დამშვიდობება	არ არის	არ არის	არ არის (ერთად სიარულზე გადადის)
მადლობა	„გმადლობთ"	„დიდი მადლობა"	„მადლობა"
ბოდიში	„უკაცრავად" (გახსნაში)	„უკაცრავად" (mitigation)	—
თხოვნის სტრატეგია	არაპირდაპირი მისვლა თემასთან + კითხვა ბოლოს	პირდაპირი კითხვა	n/a — არ არის თხოვნის სცენარი
შენ/თქვენ	თქვენ	შერეული (ზმნები ხან -თ, ხან არა)	თქვენ
მიმართვის ფორმა	არა	არა	სრული წოდება+სახელი: „ქალბატონო ნინო" / „ბატონი გიორგი"

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
რეგისტრი	ფორმალური	ნახევრად-ფორმალური	მაღალფორმალური
ფატიკური კომპონენტი	მინიმალური	„სტუდენტი ბრძანდებით?"	„სასიამოვნოა თქვენი გაცნობა" + გაჭიანურებული ბიოგრაფიული გაცვლა
კულტურული სპეციფიკა	„დაბრძანდით"	სუსტი	წოდებით მიმართვის ტრადიცია
ზედმეტი ფორმალიზაცია	არა	არა	დიახ — გაჭიანურებული ეტიკეტი 50/25 პირველი შეხვედრისთვის
კალკირება	არა	არა	შესაძლო — „სასიამოვნოა თქვენი გაცნობა" ≈ "Nice to meet you"
პრაგმატული აცდენა	ტექსტური ხარვეზი გახსნაში (ტექნიკური, არა ენობრივი)	რეგისტრის შეუსაბამობა — არაფორმ. მისალმება + ფორმ. ზმნები	გაჭიანურებული პირადი ინფო გაცვლა შემთხვევით შეხვედრილებს შორის

ცხრილი 2. Prompt 2 — შემთხვევითი შეხვედრა ქუჩაში (small talk)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	„რა კარგია, რომ გნახე!"	„ვა, დათო! გამარჯობა, როგორ ხარ?"	„ვა, გამარჯობა! როგორ ხარ?"

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
დამშვიდობება	„კარგად იყავი, მალე შევხვდეთ" / „ნახვამდის"	„დროებით, წარმატებები! ავიღოთ ყავა"	„კარგად, აბა! თავს გაუფრთხილდი" / „ნახვამდის"
მადლობა	ცალკე არ ჩანს	ცალკე არ ჩანს	„მადლობა" (საპასუხო)
ბოდიში	არა	არა	არა
თხოვნის სტრატეგია	n/a	n/a	n/a
შენ/თქვენ	შენ	შენ	შენ
მიმართვის ფორმა	არა	სახელით („დათო", „გიორგი")	არა
რეგისტრი	არაფორმალური	არაფორმალური	არაფორმალური
ფატიკური კომპონენტი	მაღალი — „ოჯახი, შვილები როგორ არიან?"	მაღალი — „რას შვრები", „მშვიდობა გაქვთ ოჯახში"	მაღალი, მსგავსი
კულტურული სპეციფიკა	„ღმერთს მადლობა"	ყავაზე მოწვევა-როგორც-დახურვა	„თავს გაუფრთხილდი"
ზედმეტი ფორმალიზაცია	არა	არა	არა
კალკირება	არა	არა	შესაძლო — „თავს გაუფრთხილდი" ≈ "take care"
პრაგმატული აცდენა	არ შეინიშნება	არ შეინიშნება	არ შეინიშნება

ცხრილი 3. Prompt 3 — თხოვნა (გზის გარკვევა)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	„უკაცრავად, შეიძლება ერთი წუთით შეგაწუხოთ?"	„უკაცრავად, გამარჯობათ"	„უკაცრავად, შეიძლება ერთი წუთით?"
დამშვიდობება	„გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ"	„წარმატებები"	„კარგად" (ერთსიტყვიანი)
მადლობა	„ძალიან გმადლობთ" / „დიდი მადლობა" (განმეორებული)	„დიდი მადლობა, გაიხარეთ!"	„დიდი მადლობა" (ერთხელ)
ბოდიში	„ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ"	mitigation „უკაცრავად"	ცალკე ბოდიშის ფორმულა არ არის
თხოვნის სტრატეგია	ორმაგი შერბილება — ნებართვის თხოვნა + ბოდიში + ირიბი კითხვა	ებჯერადი ირიბი კითხვა	პირდაპირი, მინიმალური მიტიგაცია
შენ/თქვენ	თქვენ	თქვენ	თქვენ
მიმართვის ფორმა	არა	არა	არა
რეგისტრი	ფორმალური	ფორმალური	ფორმალური, მოკლე
ფატიკური კომპონენტი	მინიმალური	მინიმალური	არ არის
კულტურული სპეციფიკა	„ბრძანდებოდეთ"	„გაიხარეთ"	„კარგად ბრძანდებოდეთ" (საპასუხო)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
ზედმეტი ფორმალიზაცია	შესაძლო — ორჯერ ბოდიში + ორჯერ მადლობა მარტივი კითხვისთვის	არა	არა
კალკირება	არა	არა	არა
პრაგმატული აცდენა	overpoliteness მარტივი ინფორმაციული თხოვნისთვის	არ შეინიშნება	არ შეინიშნება — ყველაზე „ეკონომიური" ვარიანტი

ცხრილი 4. Prompt 4 — მადლობა (ფიზიკური დახმარება)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	n/a	n/a	n/a
დამშვიდობება	n/a	n/a	n/a
მადლობა	„წარმოუდგენელი მადლობელი ვარ, ღმერთმა გაგიმრავლოს!"	„ხელი გაგიმარჯოს, ძმაო" / „ხელი გემარჯოს და წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა!"	„მართლა დიდი მადლობა, მარტო ვერ გავუმკლავდებოდი"
ბოდიში	არა	არა	არა
თხოვნის სტრატეგია	n/a	n/a	n/a
შენ/თქვენ	შენ	შენ	შენ
მიმართვის ფორმა	არა	„ძმაო"	„კაცო" (ერთხელ)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
რეგისტრი	ნეიტრალურ-კოლოქვიალური	კოლოქვიალურ-ტრადიციული	ნეიტრალური
ფატიკური კომპონენტი	დაბალი	დაბალი	დაბალი
კულტურული სპეციფიკა	„ღმერთმა გაგიმრავლოს"	მაღალი — რამდენიმე ტრადიციული კურთხევა ერთად	დაბალი — ზოგადი მადლობა
ზედმეტი ფორმალიზაცია	არა	არა (პირიქით)	არა
კალკირება	შესაძლო — „მადლობელი ვარ" კონსტრუქცია ოდნავ არაბუნებრივი	არა	არა
პრაგმატული აცდენა	გამოთქმის ბუნებრიობა ეჭვქვეშ	შესაძლო გადამეტებული ეთნოგრაფიზაცია — რამდენიმე მარკირებული ფორმულა ერთ მოკლე დიალოგში	კულტურული სპეციფიკის დაკარგვის რისკი

ცხრილი 5. Prompt 5 — ბოდიში (შეჯახება მაღაზიაში)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	n/a	n/a	n/a
დამშვიდობება	„კარგად ბრძანდებოდეთ" / „კარგად იყავით"	არ არის	„მშვიდობით"

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მადლობა	არა	არა	„მადლობა გაგებისთვის" (უჩვეულო ჩასმა)
ბოდიში	„ეხ, უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ!" / „ბოდიშს გიხდით" (განმეორებული)	„ვაიმე, უკაცრავად!" / „კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით"	„უკაცრავად, ვერ შეგამჩნიეთ" / „მართლა ბოდიში" / „კიდევ ერთხელ ბოდიში"
თხოვნის სტრატეგია	n/a	n/a	n/a
შენ/თქვენ	თქვენ	თქვენ (ნაწილობრივ)	თქვენ
მიმართვის ფორმა	არა	არა	არა
რეგისტრი	ფორმალური	ნეიტრალური	ნეიტრალური
ფატიკური კომპონენტი	არა	არა	არა
კულტურული სპეციფიკა	„ნუ იწყენთ"	დაბალი	დაბალი
ზედმეტი ფორმალიზაცია	შესაძლო — ორმაგი ბოდიში + ფორმალური დახურვა წვრილმანი ინციდენტისთვის	არა	არა
კალკირება	არა	არა	არა

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
პრაგმატული აცდენა	ხანგრძლივობა/ფორმალობა შესაძლოა გადაჭარბებული	დიალოგი უჩვეულოდ მოკლე, დახურვის ფრაზა საერთოდ არ ჩანს	„მადლობა გაგებისთვის" ადგილშეუფერებელია — ბუნებრივში აქ „არაუშავს"-ის ტიპის პასუხია მოსალოდნელი

ცხრილი 6. Prompt 6 — დამშვიდობება (კოლეგები)

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	n/a	n/a	n/a
დამშვიდობება	„კარგად დაისვენე ამაღამ" / „ხვალამდე"	„სასიამოვნო საღამოს გისურვებ!" / „ხვალამდე, დროებით!"	„საღამო მშვიდობისა" / „აბა, დროებით"
მადლობა	„გმადლობთ" (თემასთან დაკავშირებით)	„მადლობა"	„მადლობა, შენც"
ბოდიში	არა	არა	არა
თხოვნის სტრატეგია	n/a	n/a	n/a
შენ/თქვენ	შენ (თუმცა „გმადლობთ" შერეულია)	შენ	შენ
მიმართვის ფორმა	არა	სახელით	არა
რეგისტრი	ნეიტრალური	ნეიტრალურ-კოლეგიალური	ნეიტრალურ-კოლეგიალური

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
ფატიკური კომპონენტი	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური
კულტურული სპეციფიკა	—	„სასიამოვნო საღამოს გისურვებ"	„საღამო მშვიდობისა"
ზედმეტი ფორმალიზაცია	არა	მსუბუქად	არა
კალკირება	არა	შესაძლო — ≈ "Have a nice evening"	არა
პრაგმატული აცდენა	შენ/თქვენ ფორმების არათანმიმდევრულობა ერთ დიალოგში	არ არის მკვეთრი	არ შეინიშნება

ცხრილი 7. Control Prompt/ საკონტროლო ინსტრუქცია — შეხვედრის დრო

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
მისალმება	„გამარჯობა"	„სალამი, ლაშა"	არ არის — პირდაპირ საკითხზე გადადის
დამშვიდობება	„კარგი, მაშინ ხვალამდე"	„აბა, ჰე!" / „დროებით!"	„კარგი, მაშინ ხვალამდე"
ფატიკური კომპონენტი	არა	მინიმალური (მისალმება მარტო)	სრულად არარსებული
შენ/თქვენ	შენ	შენ	შენ
მიმართვის ფორმა	არა	სახელით	არა

პარამეტრი	Claude	Gemini	ChatGPT
რეგისტრი	ნეიტრალური	არაფორმალური	ნეიტრალური
დანარჩენი პარამეტრები	—	—	—
პრაგმატული აცდენა	არ შეინიშნება	არ შეინიშნება	ფატიკური გახსნის სრული გამოტოვება — საინტერესო კონტექსტ-სენსიტიურობის მაჩვენებელი

რამდენიმე ტენდენცია, რომელიც ამ სრულმა კოდირებამ დამატებით გამოაჩინა:

1. **Claude-ის ერთადერთი განმეორებადი პრობლემა** არ არის ფორმალიზაცია, არამედ **შენ/თქვენ ფორმების არათანმიმდევრულობა** (Prompt 6-ში „შენ" საუბარში „გმადლობთ" ჩნდება).
2. **Gemini-ს ერთადერთი მკვეთრი „ცოდვა"** — Prompt 5-ში დახურვის ფრაზის სრული არარსებობა, დიალოგის ხელოვნურად მოჭრილი დასასრული.
3. **ChatGPT-ის ყველაზე თვალშისაცემი აცდენა** არ არის ზედმეტი ფორმალობა (როგორც თავდაპირველად ივარაუდებოდა), არამედ Prompt 5-ში **პრაგმატულად არასწორად განთავსებული „მადლობა გაგებისთვის"**.
4. **ჰიპოთეზა „AI ნიველირებს ფატიკურ კომუნიკაციას"** მხოლოდ ნაწილობრივ დასტურდება — საკონტროლო ინსტრუქციაში ChatGPT-მ სწორედ ფატიკური ელემენტი (მისალმება) გამოტოვა, რაც ნიშნავს, რომ მისი ეტიკეტური ქცევა prompt-ზეა დამოკიდებული და არ არის ავტომატური შაბლონი.

გამოყენებული ლიტერატურა

Brown, P. &. (1987). *Politeness: Some universals in language usage.* Cambridge : Cambridge University Press.

Jakobson, R. (1960). *Linguistics and poetics. In T. Sebeok (Ed.), Style in language.* Munich: MIT Press.

Malinowski, B. (1923). *The problem of meaning in primitive languages. In C. K. Ogden & I. A. Richards (Eds.), The meaning of meaning.* London: Kegan Paul.